

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
სხდომა N40

დღის წესრიგი:

1. სტუ-ის 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცება. სხვა ხარჯების მუხლში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ:

- ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სხვა ხარჯების – მოგების გადასახადის მუხლიდან, 100.000 ლარი გადატანილ იქნეს ქონების გადასახადის მუხლში;
- წარმომადგენლობითი ხარჯების (მიღებები და ღონისძიებები) მუხლიდან 10.000 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის მუხლში;
- წარმომადგენლობითი ხარჯების მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯებიდან - 2000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელისა და მომსახურების ხარჯების, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მუხლში, რომლებიც არ კლასიფიცირდება საქონელსა და მოსახურების დანარჩენ მუხლებში;
- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან – 18.653 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო მასალებისა და ნივთების შეძენის მუხლში (დიპლომები, სტუდ. ბილეთები).

2. ცვლილებები საფაკულტეტო ბიუჯეტში (საფუძველი სტუ-ის ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებები). იხ. დანართი;

3. სტუ-ისთვის უსასყიდლო უზუფრუქტით გადმოცემული ქონების 5 წლის ვადით იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება, კერძოდ:

- მ. კოსტავას 77, მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართული 251, 8 მ<sup>2</sup>;
- მ. კოსტავას 77, მე-3 სასწავლო კორპუსის, ცოკოლის სართული 256, 03 მ<sup>2</sup>;

4. სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის სახელფასო ანაზღაურების გაზრდის დამტკიცება (მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);

5. მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 ოქტომბრის სხდომის

ოქმი N40

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 38. სხდომას უძღვებოდა სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი). პირველ საკითხში ცვლილებაა. პირველ პუნქტში სიტყვები "დამატებითი ღირებულების გადახდის მუხლიდან" შეიცვალოს სიტყვებით "მოგების გადასახადის მუხლიდან". სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

#### **წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.**

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: ასოც. პროფ. თალიკო ჟვანია, პროფ. მალხაზ ხუციშვილი, სტუდენტი პაატა მალაზონია.

#### **წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.**

**სპიკერი** – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – სტუ-ის 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცება. სხვა ხარჯების მუხლში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ:

- ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა ხარჯების – მოგების გადასახადის მუხლიდან 100.000 ლარი გადატანილ იქნეს ქონების გადასახადის პუნქტში;
- წარმომადგენლობითი ხარჯების (მიღებები და ღონისძიებები) მუხლიდან 10.000 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის მუხლში;
- წარმომადგენლობითი ხარჯების მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯებიდან - 2000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯების, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მუხლში, რომლებიც არ კლასიფიცირდება საქონელსა და მომსახურების დანარჩენ მუხლებში;
- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 18.653 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო მასალებისა და ნივთების შეძენის მუხლში (დიპლომები, სტუდ. ბილეთები) – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სხვა ხარჯების – მოგების გადასახადის მუხლიდან, 100.000 ლარი გადატანილ იქნეს ქონების გადასახადის მუხლში, რადგან გაიზარდა ქონების გადასახადი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხის პირველი პუნქტი. წარმოდგენილ პუნქტს კენჭი ეყარა ერთხმად.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – წარმომადგენლობითი ხარჯების მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან 10.000 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლში. იგივე მუხლიდან 2000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯების, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მუხლში, რომლებიც არ კლასიფიცირდება საქონლისა და მომსახურების დანარჩენ მუხლებში. ეს თანხა საჭიროა აუდიტის მომსახურებისათვის, რომელიც აფასებს კავკასიის ბიზნეს სკოლის ფართობს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხის მეორე და მესამე პუნქტები. წარმოდგენილ პუნქტებს კენჭი ეყარა ერთხმად.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 18.653 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო მასალებისა და ნივთების შეძენის მუხლში (დიპლომები, სტუდ. ბილეთები).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა საბჭოს წევრებს გააცნო სტუდ. ბილეთის ფორმა.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – იგივე პლასტიკური ბარათები იქნებ პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც შეგვეძინა.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – იდეა კარგია, მაგრამ ეს ყველაფერი ფინანსურადაა დასაანგარიშებელი.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია** – იქნებ ცოტა მეტი გადავიხადოთ და უკეთესი იყოს.

**პროფ. კარლო ლურჯკაია** – იქნებ თვითონ გადავიხადოთ თანხა, თუნდაც 5 ლარი დაჯდეს.

**პროფ. მალხაზ ხუციშვილი** – რა ხდება დოქტორების მოწმობებთან დაკავშირებით?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ეს საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხის მეოთხე პუნქტი. წარმოდგენილ პუნქტს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 ოქტომბრის N40 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 ოქტომბრის N40 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცების შესახებ. სხვა ხარჯების მუხლში განსახორციელებელი ცვლილებები, კერძოდ:

- ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა ხარჯების – მოგების გადასახადის მუხლიდან, 100.000 ლარი გადატანილ იქნას ქონების გადასახადის მუხლში;
- წარმომადგენლობითი ხარჯების მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან 10.000 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლში;
- წარმომადგენლობითი ხარჯების მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯებიდან - 2000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯების, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მუხლში, რომლებიც არ კლასიფიცირდება საქონელსა და მომსახურების დანარჩენ მუხლებში;
- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან – 18.653 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო მასალებისა და ნივთების შეძენის მუხლში (დიპლომები, სტუდ. ბილეთები).

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა –*

*სტუ-ის ადმინისტრაციას ნება დაერთოს უნივერსიტეტის 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში, განახორციელოს წარმოდგენილი ცვლილებები (იხ. დანართი NI).*

**სპიკერი** – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეორე საკითხს – ცვლილებები საფაკულტეტო ბიუჯეტში – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – ფაკულტეტების ბიუჯეტებში გათვალისწინებულია ცვლილებები. ფაკულტეტების დეკანებმა წარმომიდგინეს მოხსენებითი ბარათები და ფაკულტეტების საბჭოების ოქმის ამონაწერები. მოგახსენებთ იმ ცვლილებებს, რომელიც თითოეულმა ფაკულტეტმა წარმომიდგინა.

**სამშენებლო ფაკულტეტზე** წარმომადგენლობითი ხარჯების, სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან 3000 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების მუხლში. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან 7400 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მასალების შეძენის მუხლში, ხოლო, იგივე მუხლიდან - 1400 ლარი სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის მუხლში (სტუდ. ბილეთები).

#### **ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი**

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან 1778 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის მუხლში (დიპლომები), ხოლო 1920 ლარი, იგივე მუხლში, სტუდენტური ბილეთებისათვის.

- წარმომადგენლობითი ხარჯების, სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან 600 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების მუხლში.

#### **სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი.**

- საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების ხარჯებიდან 473 ლარი, ხოლო შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 4527 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების საპრემიო მუხლში, სულ 5000 ლარი.

- შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 630 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის მუხლში (სტუდ. ბილეთები).

#### **ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი**

- კომუნალური მომსახურებისა და გაყვანილობების მუხლიდან 7000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების საპრემიო მუხლში.

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან 7650 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების საპრემიო მუხლში.

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან 1300 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის მუხლში, ხოლო 1250 ლარი – სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის მუხლში (სტუდ. ბილეთები).

#### **არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი**

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 200 ლარი გადავიდეს მიღებების და ღონისძიებების ხარჯების მუხლში, 5450 ლარი – საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის და მოწყობილობების შეძენის მუხლში, 200 ლარი – სუვენირების და საჩუქრების შეძენის მუხლში, 2400 ლარი – ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატის შეძენის მუხლში, 400 ლარი – მასალების შეძენის მუხლში, 343 ლარი – სასწავლო მიზნით საჭირო ნივთების (დიპლომები) შეძენის მუხლში, ხოლო 312 ლარი – სასწავლო მიზნით საჭირო ნივთების (სტუდ. ბილეთების) შეძენის მუხლში.

#### **ინფორმატიკა და მართვის სისტემები**

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან 3990 ლარი გადავიდეს სასწავლო მიზნით საჭირო მასალებისა და ნივთების შეძენის მუხლში (დიპლომები), ხოლო 3000 ლარი იგივე მუხლში სტუდ. ბილეთებისათვის.

- წარმომადგენლობითი ხარჯების, სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან 1500 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების მუხლში.

#### **სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი**

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან 3650 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო მასალებისა და ნივთების შეძენის მუხლში (დიპლომები, სტუდ. ბილეთები).

#### ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან 5000 ლარი გადატანილ იქნეს საპრემიო მუხლში, ხოლო, 6412 ლარი გადავიდეს სასწავლო მიზნით საჭირო მასალისა და ნივთების შეძენის (დიპლომები) მუხლში, 3372 ლარი, იგივე მუხლში, სტუდ. ბილეთებისათვის.

- საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 2588 ლარი გადავიდეს ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლში.

- მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან 3000 ლარი გადავიდეს მივლინებების მუხლში.

- წარმომადგენლობითი ხარჯების, სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან 3000 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების მუხლში.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – ვფიქრობ, რემონტებიდან თუ გადარჩა ფული, ისევე რემონტს უნდა მოვახმაროთ. კედლები კი შეიღება, მაგრამ კარებს საკეტები არ უვარგა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ის საფაკულტეტო ბიუჯეტებში ცვლილებების საკითხი. საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 ოქტომბრის N40 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 ოქტომბრის N40 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი

სტუ-ის 2009 წლის საფაკულტეტო ბიუჯეტებში ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის 2009 წლის საფაკულტეტო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა:

სამშენებლო ფაკულტეტი

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან – 7400 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მასალების შეძენის მუხლში, ხოლო იგივე მუხლიდან - 1400 ლარი სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის მუხლში (სტუდ. ბილეთები).

- წარმომადგენლობითი ხარჯების, სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან - 3000 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების მუხლში.

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან – 1778 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის მუხლში (დიპლომები), ხოლო 1920 ლარი იგივე მუხლში, სტუდენტური ბილეთებისათვის.

- წარმომადგენლობითი ხარჯების, სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან - 600 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების მუხლში.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

- საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების ხარჯებიდან - 473 ლარი, ხოლო შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან - 4527 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების საპრემიო მუხლში, სულ - 5000 ლარი.

- შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან - 630 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის მუხლში (სტუდ. ბილეთები).

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი



- კომუნალური მომსახურებისა და გაყვანილობების მუხლიდან - 7000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების საპრემიო მუხლში.

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან - 7650 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების საპრემიო მუხლში.

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან - 1300 ლარი გადატანილ იქნას საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის მუხლში, ხოლო 1250 ლარი სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის მუხლში (სტუდ. ბილეთები).

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან - 200 ლარი გადავიდეს მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლში, 5450 ლარი - საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის და მოწყობილობების შეძენის მუხლში. 200 ლარი გადავიდეს სუვენირებისა და საჩუქრების შეძენის მუხლში, 2400 ლარი - ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატის შეძენის მუხლში, 400 ლარი - მასალების შეძენის მუხლში, 343 ლარი გადავიდეს სასწავლო მიზნით საჭირო ნივთების (დიპლომები) შეძენის მუხლში, 312 ლარი - სასწავლო მიზნით საჭირო ნივთების (სტუდ. ბილეთების) შეძენის მუხლში.

ინფორმატიკა და მართვის სისტემები

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან - 3990 ლარი გადავიდეს სასწავლო მიზნით საჭირო მასალებისა და ნივთების შეძენის მუხლში (დიპლომები), ხოლო 3000 ლარი იგივე მუხლში, სტუდ. ბილეთებისათვის.

- წარმომადგენლობითი ხარჯების სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან - 1500 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების მუხლში.

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან – 3650 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო მასალებისა და ნივთების შეძენის მუხლში (დიპლომები, სტუდ. ბილეთები).

#### ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი

- შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან – 5000 ლარი გადატანილ იქნეს საპრემიო მუხლში, ხოლო, 6412 ლარი გადავიდეს სასწავლო მიზნით საჭირო მასალებისა და ნივთების შეძენის (დიპლომები) მუხლში, ხოლო 3372 ლარი იგივე მუხლში, სტუდ. ბილეთებისათვის..

- საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის მუხლიდან - 2588 ლარი გადავიდეს ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლში.

- მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან - 3000 ლარი გადავიდეს მივლინებების მუხლში.

- წარმომადგენლობითი ხარჯების, სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან - 3000 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების მუხლში (იხ. დანართი 1).

სტუ-ის ადმინისტრაციამ უნივერსიტეტის 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში განახორციელოს საფაკულტეტო ბიუჯეტში განსახორციელებელი მუხლობრივი ცვლილებები.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მესამე საკითხს – სტუ-ისთვის უსასყიდლო უზუფრუქტით გადმოცემული ქონების 5 წლის ვადით იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება, კერძოდ:

- მ. კოსტავას 77, მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართული, 251, 8 მ<sup>2</sup>;
- მ. კოსტავას 77, მე-3 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართული, 256, 03 მ<sup>2</sup> – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ისთვის უსასყიდლო უზუფრუქტით გადმოცემული ქონების (მ. კოსტავას 77, მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართული, 251, 8 მ<sup>2</sup> და იქვე, მ. კოსტავას 77, მე-3 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართული 256, 03 მ<sup>2</sup>) 5 წლის ვადით იჯარით გაცემის თაობაზე. ეს საკითხი განიხილება დარგობრივ კომისიაზე საუბარია "ვილა ძარაზე", მათ გაუვიდათ იჯარის ვადა. მოვიწვევთ აუდიტს, რომელსაც უდევს ქვედა ზღვარი, ის რეალურად შეაფასებს ობიექტს და შემდეგ ეს ობიექტი გადავა ტენდერზე.

**პროფ. ვლადიმერ ხოჭოლავა** – როდის გასდის ვადა? ამ დროის განმავლობაში იხდიან თუ არა თანხას?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – წესით და კანონით უნდა დაიხუროს ობიექტი.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია** – ან ადრე უნდა გამოვაცხადოთ ტენდერი, სანამ ობიექტს იჯარის ვადა ამოეწურება ან, თუ იგივე კაცი გააგრძელებს ობიექტის ქირაობას, იქნებ ყველა გადაწყვეტილება და საბუთები მოგვარდეს იჯარის ვადის ამოწურვამდე, რომ ობიექტი არ დაიხუროს.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 ოქტომბრის N40 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 ოქტომბრის N40 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ისთვის უსასყიდლო უზუფრუქტით გადმოცემული ქონების, კერძოდ, მ. კოსტავას 77, მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართული 251,8 მ<sup>2</sup> და მ.

კოსტავას 77, მე-3 სასწავლო კორპუსის, ცოკოლის სართული 256, 03 მ<sup>2</sup> ფართობების, 5 წლის ვადით, იჯარით გაცემის დამტკიცების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა გასაიჯარებელი ფართობები 5 წლის ვადით*

– მ. კოსტავას 77, მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართული 251,8 მ<sup>2</sup>;

– მ. კოსტავას 77, მე-3 სასწავლო კორპუსის, ცოკოლის სართული 256, 03 მ<sup>2</sup> (იხ. წერილი N118).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხს – სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის სახელფასო ანაზღაურების გაზრდის დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნულ საკითხს საფუძვლად უდევს რექტორის სახელზე შეტანილი, რექტორის პირველი მოადგილის, პროფ. ლევან კლიმიაშვილის მოხსენებითი ბარათი, რომელიც რექტორმა გადმოგვიგზავნა შესასრულებლად მე და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ჩვენ ამ საკითხზე ვიმსჯელებთ საფინანსო-ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი კომისიის სხდომაზე და შესაძლებლად ჩავთვალეთ სწავლების დეპარტამენტის უფროსის სახელფასო ანაზღაურების გაზრდა არსებული ხელფასის 50%-ით, რაც შეადგენს 1650 ლარს.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – იანვრიდან ადმინისტრაციის პერსონალის რაოდენობის შემცირება იგეგმება, რაც საშუალებას მოგვცემს სწავლების დეპარტამენტის უფროსს გაეზარდოს შრომის ანაზღაურება.

უკანასკნელ პერიოდში სწავლების დეპარტამენტს მნიშვნელოვნად გაეზარდა შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა. მიმდინარე წლის მაისიდან სწავლების დეპარტამენტს დაეკისრა მისი ძირითადი ფუნქციების სრული მოცულობით განხორციელება, რომელთა ნაწილი დროებით ჰქონდა გადაცემული სხვა სტრუქტურას. ყოველივე ამან გამოიწვია სწავლების დეპარტამენტის და მისი უფროსის სამუშაო დატვირთვისა და პასუხისმგებლობის მკვეთრი გაზრდა, ვინაიდან, გარდა მისი ადრინდელი ფუნქციების განხორციელებისა, დაეკისრა სტუდენტთა მობილობის ორივე ეტაპის, უმაღლესი პროფესიული სწავლებისა და

ბაკალავრიატის პირველკურსელების, ასევე მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პროცესების წარმართვა. განათლების აკრედიტაციის და გამოცდების ეროვნულ ცენტრებთან ურთიერთობას უნივერსიტეტი ახორციელებს სწავლების დეპარტამენტის საშუალებით. აქედან გამომდინარე, დეპარტამენტის უფროსის მიერ მასზე დაკისრებული უფლებამოვალეობების სრულყოფილად შესასრულებლად ნორმირებული სამუშაო საათები არ არის საკმარისი და საჭიროა ზენორმატიული საათები, რომლის მოცულობა 50%-ზე მეტს შეადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა სწავლების დეპარტამენტის უფროსისათვის სახელფასო ანაზღაურების გაზრდა. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ, თავის მორიგ სხდომაზე (26.10.2009წ.), იმსჯელა ამ საკითხზე და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში, თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა მნიშვნელოვნადაა არის დამოკიდებული სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პირად პასუხისმგებლობაზე და მისგან მოითხოვს დიდი მოცულობის სამუშაოს ჩატარებას. პრაქტიკულად შეუძლებელია ნორმირებულ სამუშაო საათებში დაკისრებული მოვალეობის სრულყოფილად შესრულება. საქმის საჭიროებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება არასამუშაო საათებში მუშაობა, რომლის მოცულობა ნორმირებული სამუშაო საათების ნახევარზე მეტია. მოცემული ფაქტებისა და საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნის საფუძველზე, სტუ-ის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის სახელფასო განაკვეთი გაიზარდოს და განისაზღვროს 1650 ლარით. გარდა ამისა, საჭიროა მოხდეს განყოფილებებს შორის დიფერენციაცია.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – სწავლების დეპარტამენტს უნდა ავუწიოთ რანგი და გავუთანაბროთ ხარისხის მართვის სამსახურს.

**პროფ. კარლო ლურჯკაია** – უნდა მოხდეს სწავლების დეპარტამენტისა და ხარისხის მართვის სამსახურის ერთ რანგში აყვანა.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებთ ეს იქნება ცვლილება სამტატო განრიგში.

სპიკერი – ამჯერად შევთანხმდეთ ანაზღაურების ამ რაოდენობაზე ანუ 1650 ლარზე და შემდგომში ვიმსჯელოთ პროფ. კარლო ლურწყაიას წინადადებაზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

#### წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 ოქტომბრის N40 სხდომის

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 ოქტომბრის N40 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის სახელფასო ანაზღაურების გაზრდის დამტკიცების შესახებ. საფუძველი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის, პროფ. ლევან კლიმიაშვილის მოხსენებითი ბარათი.

*მოხსენებით ბარათში მოცემული ფაქტებისა და სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მიერ რეალურად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, ასევე სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნის საფუძველზე, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა:*

- 1. სტუ-ის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის სახელფასო განაკვეთი გაიზარდოს და განისაზღვროს 1650 ლარით;*
- 2. დაფინანსება განხორციელდეს სტუ-ის 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების მუხლის გაზრდის შედეგად;*

*შრომის ანაზღაურების გაზრდა განხორციელდეს 2009 წლის პირველი ნოემბრიდან.*

მიმდინარე საკითხები:

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – ინფორმაციის სახით: ბრძანებები სახელშეკრულებო ხალხის თაობაზე შეჩერებულია მიზეზთა გამო.

**პროფ. ივანე თვალავაძე** – განვიხილეთ საკითხი დოქტორანტების წლიური გადასახადის შესახებ, საბოლოოდ რა დამტკიცდა?

**სპიკერი** – ეს საკითხი ხელმეორედ არ განხილულა აკადემიურ საბჭოზე.

**პროფ. მარინა ქურდაძე** – ახლად შექმნილმა სამსახურებმა წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე წლის ბოლოს გამოიტანონ ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ.

**სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ** წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

/ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,

ასოცირებული პროფესორი

/გინა გურეშიძე/